საქართველოს სოც.-ფედერალისტთა საარჩევნო ბლოკი — დრ. შთაპარ კომუნისტების ორგანო

სოციალისტ-ფედერალისტი

ხუთშაბათი მაისი 12 1921 წ.

ფასი 100 მანეთი

რედაქციის მისამართი: სამფუძნებელი კრების ქ. № 6
ტელეფონი 12—29

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღება ხელის მოწერა
„სოციალისტ-ფედერალისტზე“
სახლში მიტანით გაზეთი ღირს თვეში 3000 მან.

მწუხარებით გულ დათუთქული მეუღლე ალექსანდრე ნესტორის ძე დოლიძე ძმებით: მიხაკო, ისიდორე, გიორგი, სიმონი და ვანო დოლიძეებით რძლებით: მაშო, ვარდო, ნადეჟდა, ვარდო და ივდითი დოლიძეებისა. ამით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, გარდაცვლას მათი საყვარელი მეუღლის

ნინა სერგოს ასულის დოლიძისა

გამოსვენება ვოგზლის ქუჩა № 65 ხუთშაბათს 12 მაისს დღის 2 საათზე
დაკრძალვა წმინდა ნიხოს ეკლესიაზე. 960

გულმოკლული მეუღლე ანეტა, ობლად დარჩენილი ქალები: დომინიკა, ლუბა და მანიკო და ძმები: ალექსანდრე, სევა და ლადი მეუღლითა და შვილებით აუწყებენ ნათესავებს და მეგობართ, რომ მათი დაუვიწყარის

ილარიონ გლახუას ძის ქორწილს

ტრაგიკულად გარდაცვალებიდან მეორმოცე დღეზე, შაბათს, მაისის 14-ს, გადახდილ იქნება ქალაქ ფოთში, ნახუტურუეს სასაფლაოს ეკლესიაში, წირვა და პანაშვიდი. 964

ძუდამეან სიყვარელის და მაოადის დაუვიწყარის

ილარიონ გლახუას ძის ქორწილს

ტრაგიკულად გარდაცვალებიდან მეორმოცე დღეზე, შაბათს, მაისის 14-ს, გადახდილ იქნება ქალაქ ფოთში, ნახუტურუეს სასაფლაოს ეკლესიაში; წირვა და პანაშვიდი, რასაც აუწყებენ ნათესავებს და მეგობართ მწუხარებას, შინა მყოფები ფოთის დეკანოზი გიორგი გეგეჭკორი და მეუღლე მისი კატო და ბიძაშვილები: ვალერიანი, ლადო, იხეხერი გრიგოლ და ექიმი ნიკოლოზ გეგეჭკორები. 964

ექიმი
ნ. ა. არუთინოვი
სპეციალურად სიფილისი (914 ტ 606) სქესობრივი უძლურება, ვენერიული აუსუნათი და შედეგები.
ახალი ალექსეევის ქ. № 5, ცეცხლის მქონობელ რაზმის ახლო. ავადმყოფების მიღება 10—2 და 5—7 საათ. 946

ფურცლები

24

საქართველოს ოკუპაცია.

ჩვენი საზოგადოების ახლოდ ერთმანეთწილმა სოც.-ფედერალისტთა პარტიის ძველმა მთავარი კომიტეტის უმრავლესობამ მ. მართა სიტყვა „ოკუპაციის“ საქართველოში შექმნილ მდგომარეობის ქვალიფიკაციისათვის.

რას ნიშნავს პოლიტიკური პარტია და მისი გაძოქვეყანებული რეზოლიუცია, რეზოლიუციის მთავარი მუხლები? ენერგიული და მოძრავი პარტიისათვის ეს ნიშნავს იმ ცოცხალ სიტყვას, რომელიც უნდა გარდაიქცეს ხალხის სიტყვად, რომლისთვის უნდა გაიმაგოს საზოგადოება და მით ძალად იქმნას პოლიტიკური მიზანი.

ერთი მთავარი ჩვენი დებულება ყინ უნდა წავიმძღვაროთ, როცა გვიხდა დასმულ კითხვას პასუხი მივცეთ. ჩვენ ვცხოვრობთ ძალად რთულ და პასუხსაგებ ხანაში. ყრი და ისტორია დღეს ერთვის ეპოქებს ძალად ნიზნებს ან პარტიულ დოგმატებს შეაჭამოს ყრის ფასიცოცხლო ინტერესები. ყველამ ერთხელ და სამუდამოდ უნდა ვაღიაროთ, რომ ეროვნულ ფარგალში მომწყვდეულ პოლიტიკურ პარტიებს არ შეუძლიათ იმაზე მეტი გააკეთონ რისი გაკეთებაც შეუძლია თვით მშობლიურ ერს. ამ მხრივ მეტად უმწეოა პატარა ერთა ეროვნულ პარტიების სვე-ბედი. ხომ ვიცით რა როლი აკუთვნა თანამედროვე იმპერიალიზმმა პაწია ერებს. წავიდა ის დრო, როცა პატარა ერები ახერხებდნენ საკუთარ პოლიტიკის ცხოვრებაში გატარებას. დაკვირდით ჩვენს თანამედროვე ცხოვრებას, ამ ეამად განსაკუთრებით დიდი გასავალი აქვს პატარა ერების თავისუფლების და დამოუკიდებლობის ლოზუნგებს, მაგრამ არასოდეს ეს დამოუკიდებლობა ისე არ ყოფილა ფიქცია, როგორც არის დღეს. ყველა დიდი და იმპერიალისტური ერები ძალ თავიანთ სიძლიერით აწყვეტენ პატარა ერებს და იყენებენ პატარა ერებს, როგორც სათანადო მასალას დიდ ერთა დიდი მიზნებისათვის. პოლიტიკურ მდგომარეობას, სინამდვილეს პირდაპირი პასუხი უნდა გაეცეს თუნდაც პირდაპირი პასუხი მეტად უსიამოვნო იყოს პოლიტიკურ ძალისათვის. ჩვენ შეგვიძლიან გადაეკითხოთ ვთქვათ: არც ერთს პატარა ერს, არა ამარტო ისეთს, რომელიც სახელმწიფოებრივ შემოქმედებას ძალიან ლოტესკიაში, ისტორიაში და ტრადიციებში ატარებს, არამედ რომელიც შემკული იყო სუვერენულ სახელმწიფოს ატრიბუტებით, აღჭურვილნი თანამედროვე ცივილიზაციით და კულტურულ ევროპის ცენტრში სცხოვრობენ, არც ერთ ასეთს ერს საკუთარი ცხოვრების ძირითადი საკითხები არ გადაუწყვეტია თავისი ნებისყოფის მიხედვით. ერების, პატარა ერების თანამედროვე საკითხები სწყდება ამ ერების გარეშე. არც ბელგიას, არც ლიუქსემბურგს, არც სერბიას, არც ჩეხოსლოვაკიას, არც ერთს ერს თავისი ბედი თავისი ხელით არ გადაუწყვეტია.

რასაკვირველია, ეს სრულიადაც იმას არ ნიშნავს, რომ ერის ძალებმა გულზე ხელი დაიკრიფონ და თავის საქმისათვის არ აწარმოონ სასტიკი ბრძოლა ეროვნულ ინტერესების მიხედვით, მაგრამ თვით ეს ბრძოლა სასტიკად გარკვეულ პირობებს უნ ა შეუფარდოთ და შეუთანხმოთ.

ჩვენ, ქართველებმა, დიდი ძალა ვნდა დავხარჯოთ საქართველოს კეთილდღეობისათვის, მაგრამ ჩვენი ერის ყველა ძირითადი საკითხი გადასწყდება არა მარტო ჩვენი ნებისყოფის და ფიზიკური მონაწილეობის მიხედვით, არამედ თანამეროვე დიდი ბრძოლის პროცესში და ამ ბრძოლის დამთავრებით. საერთო რეაქცია, საერთო რევოლიუცია, ბრძოლა რუსეთის რევოლიუციის და ევროპის რეაქციის შორის, ი სად წყდება დღეს და ხვალ, როგორც ყველა ერების, ისე საქართველოს საკითხებიც.

ჩვენ მხოლოდ ასეთ პირობებში და ფარგლებში შეგვიძლიან დავაყენოთ საქართველოს მონაწილეობის საკითხ ხსენებულ ბრძოლაში. დღეს ჩვენ უკვე ამ ბრძოლის ხანაში ვიმყოფებით. ძაშის, როცა რუსთაველის პროსპექტს სიპაიები და შოტლანდიელები სტკეპნიდნენ იმ დროსაც ჩვენ ბრძოლის ხანაში ვიმყოფებით. ნუთავიც გონია, რომ ბრძოლის ხანაში ყოფნა ყოველთვის გულისამობდეს ხალხებსებია ქეიფ-ქუხილს და სისხლის ღვრას. როგორც ომში ყ ფნა კიდევ იმას ამ ნიშნავს, რომ ბ ორია უფალი ხალილ პირდაპირ ბრძოლაში იყოს ჩართული.

ამ გვარად საკითხი სდგას არა ისე თითქო რომელიმე მხარეს, ამ შემთხვევაში რუსეთმა საქართველოს ოკუპაცია ძალადხეა, ან დაიპყრო, როგორც ძენშევიკები ამბობენ, არა, პოლიტიკური ახალი მოხდარ მოვლენასა შემდეგ ეს რუ ეთმა იქ, სადაც წინად მოწინააღმდეგის ხანა არსებობდა გარეკა მოწინააღმდეგე და თავიანი გავლენა დაამყარა. ეს არის თანამედროვე დიდი ბრძოლის არსებითი და პოლიტიკური მხარე—მიუხედავად იმისა, მოგვწონს იგი თუ არა.

მიიღეთ ეს ურყეველი დებულება საკუთარ დებულებად და თქვენ დაინახავთ, რომ ოკუპაციის საზიზღის მიტანა საქართველოს თავის პოლიტიკური ფასურდია, პოლიტიკური დალტონიზმია, ცნებათა ადრევა და დიდი გაურკვევლობაა.

რას ნიშნავს ოკუპაცია? გასაგები ენით ოკუპაცია შემდეგს ნიშნავს: უცხო ხელმწიფე იქეოს სხვა ერის ტერიტორიას ნაწილად ან მთლიანად თავის პოლიტიკურ, ეკონომიურ ან სტრატეგიული მიზნეის შესასრულებლად; შეა. ულა მან ეს მისია ის კრავს თავის გუდა ნაბადს და მიდის საიდანაც მოსულა. ოთავითარი ხასიათი ოკუპანტის პოლიტიკური სისტემისა ყრში არ რჩება. ერს უბრუნდება, უკეთ, ერი იწყებს თავისი ყოფილი, ისტორიული ორგანიზაციებით ყოფნას და ამ გვარად ძალმდინარეობას.

ერის ამის ნატამალი დღეს საქართველოში?—რასაკვირველია არა. რუსეთს რომ საქართველოს ოკუპაცია მოეხდინა ის ხელსაც არ ახლებდა ჩვენი ცხოვრების ძირითად სადავეებს, დამორჩილებულ ადმინისტრაციით ის დროებით შეასრულებდა თავის მიზნებს და შემდეგ თავის გზას განაგრძობდა. მოხდა სრულიად სხვა. რუსეთი შეშოვიდა არა ოკუპაციისთვის, არამედ იმ ახალი სისტემის განსახორციელებლად, რომელიც ძირ-ფესვიანად სპობს ძველს შიბლონიურ კაპიტალისტურ წყობილებას და ქმნის სოციალიზმს. აქ იცვლება ყველაფერი, ადამიანი, ორგანიზაცია, სისტემა, მთელი სხეული და სულის შინაარსი. რასაკვირველია, რუსეთს აქვს უფრო დიდი მიზნებიც, ვიდრე საქართველოში საბჭოთა სისტემის განმტკიცებაა, მაგრამ საბჭოთა სისტემა არსებულის აღმოფხვრის და მთავარი მიზნის განადგურების აუცილებელი პირობაა.

იმ დროს, როცა რუსეთის ძალა რუსეთს დაუბრუნდება ეს სრულიადაც არ იქნება იმ წეს-წყობილების აღდგენა, რომელიც წინად არსებობდა. ეს კი აუცილებელი პირობაა ოკუპაციის; აიღეთ ოსმალეთი. ოსმალეთი ფაქტიურად ევროპიელებმა ჩაიგდეს ხელში, ანტანტა სრული ბატონია ოსმალეთისა, მაგრამ ანტანტის ოკუპაცია ოსმალეთის ცხოვრების ძირითად მოვლენებს კი არ ეხება, არამედ ცხოვრების ზედაპირება. წავა ანტანტა და ეს ზედაპირიც სრულიად თავის ჩვეულებრივს გეზს მიიდებს. ჩვენში ასე ა ... გახლავთ. ჩვენში მოხდა ცხოვრების საფუძვლების სრული გადატეხა, ჩვენ პირდაპირ უნდა ვსთქვათ, ოევოლიუციამ მხოლოდ საბჭოთა სისტემამ შეიტანა ჩვენი ცხოვრების ძირითად დარგებში.

ამიტომ საქართველოში ოკუპაციის პოლიტიკური ხმარე იმ ძაფთან კავშირის დაქერა, რომელიც ოკუპაციამდე არსებობდა საქართველოში, ეს ძაფი არსებული მდგომარეობით სრულიად გაწყვეტილია და საქართველოც სრულიად განშორებულია ძველ ძაფებთან, ძველ წესებთან, თუ—რასაკვირველია—ოუსეთის ოევოლიუციამ თვითონ არ ჩაკარდა საბედისწერო მდგომარეობაში.

თ. ლ.

ახალ საზღვართან

III

მუშათა საკითხი.

საქართველოში სოფლის მუშები განსაკუთრებით უეუნიადდებოდ ამოიან დატოვებულნი. თუმც ქალაქებშიც მუშათა საქმე ითუწესრიგეაელია, მაგრამ ძაინც საქართველოს მშრომელთა ეს უმცირესი ნაწილი ცუდად თუ კარგად შეკავშირებულნი ამოიან.

საპოფესიო ორგანიზაციები ქალაქებში ამოსებობენ და შეძლებისამერ უძდებიან საქმეს. სოფელი კი მოკლებულია მზრუნველა ხელს, ე. ი. საქართველოს მშრომელთა დიდი უმრავლესობა. და ჩვენი მთავარი საზრუნავი საგანი ეს უნდა იყვეს, რომ სოფლად შევქმნათ მიწის მუშათა ორგანიზაციები რასაკვირველია, თავიდანვე გთვალისწინებული გვაქვს მთელი ის სიძნელე, რომელიც გზად დაგვაბიდეს, მაგრამ ყოველგვარი სიძნელე ძლეულ უნდა იქეხეს, თუ გვსურს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ კულტურული საკუთრების განმტკიცება, თუ გვწადიან რევოლიუციით ამ უმრავლესობის დაინტერესება. ბიტინგების სიტყვები საქმემ უნდა შესცვალოს, საარჩევნო ბიულეტენები—რეალურ დასმარებამ.

იმის თქმა, რომ გლეხობა სოციალიზმის და რევოლიუციისთვის გამოუსადეგარი ელემენტია, რასაკვირველია ადარ გამოდგები. ეს მარქსიზმის ცოდვა იყო, რასაც ჩვენ მუდამ ვამბობდით. დღეს კი, ევროპაში თვით მარქსიზმის კალთიდან გამოსულმა რევ. სინდიკალიზმმაც კი უარჰყო მარქსისტული მოსაზრებანი ამ საკითხის შესახებ და გლეხობა რევოლიუციისთვის გამოსადეგ ელემენტად დასახა. მაგ. შრომის ბირჟათა ფედერაციის დამაარსებელი პელუტიერ, თავის წიგნში „Histoire des bourses du travail“-ში სწერდა: „გლეხს შეიძლება უფრო მეტი კომუნისტური გრძნობა ჰქონდეს, ვიდრე ქალაქის მუშას, ეს გრძნობა აქვს ალბად მოგების წყურვილით, მხურვალე სურვილით, რომ თავისი უნიადაგო საკუთრება შესცვალოს უფასო უზრუნველ-ყოფილ მფლობელობით; საამისო საუცხოვო მაგალითებს იძლევა ბელგია და გერმანია. თუ შრომის ბირჟები მოთმინებით და ოსტატურად მივლენ მიწის მუშებთან, ისინი მალე ჩაითრევენ მათ პროლეტარულ ჯარში. მათი დარწმუნება რასაკვირველია ძნელია, მაგრამ თუ ერთხელ დარწმუნდნენ, გამოიჩენენ შეუფერებელ გამბედაობას, სიმამაცეს და პირდაპირობას“. და ხომ არც დაუგვიანია სინდიკალისტებს. ჯერ 1894 წ. გენდისტთა სინდიკატების ფედერაციის კონგრესმა ნანტში მიიღო რეზოლიუცია, რომ შრომის განთავისუფლება მოითხოვს ქალაქის და სოფლის მუშათა გაერთიანებას, რომ აუცილებელია გლეხთა შორის სინდიკატთა იდეის ქადაგება.

ხოლო 1896 წ. შრომის ბირჟათა ფედერაციამ პირველმა სცადა სინდიკალური ქადაგება სოფლად. მათ შეიმუშავეს სოფლის სინდიკატების წესდება, და ნაბონის, მოხპელიეს, კავაიასონის, ნანტის, მარსელის და სხვ. შრომის ბირჟებმა სწრაფად დაპკელეს საფრანგეთი სოფლის სინდიკატებით. განსაკუთრებით სამხრეთ საფრანგეთში. მაგრამ შრომის ბირჟებმა ბოლო ვერ მიიდევნეს ამ საქმეს და გლეხთა სინდიკალურ ძმობაობა, თავის ძალად დარჩენილი, დაქვეითების გზას დაადგა. მაგრამ ეს დაცემის ხანა მალე შეიცვალა. სოფლისადმი ინტერესმა კვლავ გაიღვიძა, და დაარსდა იმავ საფრანგეთში „მიწის ფედერაცია“, რომელშიც შედიოდნენ მიწის მუშათა, ხის-მჭრელთა და მეთევლეთა ფედერაციები. მაგრამ ძაინც ამ ფედერაციათა ძალა მეტად სუსტია. ეს რასაკვირველია საკითხს არ სპობს. საინტერესო ია კი ამ ა ...ის, თუ რა ძალა აქვთ დღეს ამ სინდიკატებს, არამედ ის, თუ ექნებათ ძალა მომავალში, ეტყობა ზრდა, და საიმედო პერსპექტივები იშლებიან თუ არა? ამ მხრივ კი დამარწმუნებელ „ჰოს“ ამბობს მათი ისტორია, და ეს დარწმუნებაა ჩვენთვის ხიშვნელოვანი. ჩვენ ამ საქმეა უნდა მოვკიდოთ ხელი. რომ ეს საქმე კარგად დაგვირგვინდეს, საჭიროა ანგარიში გაეწიოს განსაკუთრებითი პირობებს, რომელნიც ახვევია მიწის დამუშავებას, და საერთოდ კი არა მხოლოდ, კერძოდაც კი, რაიონების მიხედვით. უნდა დაარსდეს სოფლის სინდიკატები რომელთაც იგივე დანიშნულება ექნებათ, რაც ქალაქის კავშირებს, მხოლოდ იმ პირობათა მიხედვით, რომელსაც აქვს ადგილი სოფლად.

ე. ი. სოფლის სინდიკატებში თავი უნდა მოიყაროს გლეხობის ღარიბმა ნაწილმა, და შეკავშირებულმა იბრძოლოს თავის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. უმუშევართ უმოვნოს სამუშაო, უმიწოს—მიწა, დავრდომილს—სარჩო, დაზარალებულს დახმარება და სხ..

უნდა ეცადოს საგრონომიო ცოდნის გავრცელებას თავის წევრთა შორის.

და რაც უმთავრესია, უნდა შეუდგეს საამხნაგო შრომის ორგანიზაციას. ხელი უნდა შეუწყოს ყოველგვარ წარმოებას, რომელიც სოციალისტურ პრინციპების მიხედვით მოეწყობა.

მაგ. მახლობელ ბაზარზე რაც შეიძლება მეტი პროდუქტების გატანა ნაკლები ხარჯით; საქონლის საზოგადო

მიწაზე საძოვრად გარეკა და კომუნალური საბალახეებ; კოოპერატივების დარსება ერმოს, ყველის და სხვათა ფაბრიკანტიისათვის.

ერთი სიტყვით ეცადება ხელი შეუწყოს და სასიცოცხლოდ გამოიწვიოს ყოველგვარი კოლექტიური წარმოება, რომელნიც სოფლისთვის გამოსადეგი იქნებიან ყოველ-მარად. კოოპერატიული მეშაობა და საპროფესიო ორგანიზაციების გარშემო თავის მოყრა მხოლოდ საკუთარ ინტერესთა დასაკმაყოფილებლად კი არ არის მოგონილი, ეს ეკონომიურ ხასიათის აუცილებლობა კი არ არის, რომ არსებობისთვის ბრძოლაში გამარჯვება უზრუნველ-ყოფილი იყვეს, რომ თავი დაიზღვევის ათას-გვარ უბედურებისაგან, არა.

ეს ახალი წყობილების შკოლა უნდა იყოს უმთავრესად. თუმც რასაკვირველია დახმარების თვალსაზრისითაც მეტად მნიშვნელოვანნი არიან.

დასავლეთ ევროპაში უკვე ფეხს იკიდებენ ამ გვარი ასოციაციები, რომელსაც მეტად დიდ როლს თამაშობენ მეშათა ცხოვრებაში როგორც ქალაქად, ისე სოფლად. განსაკუთრებით სოფლად, სადაც უფრო რიულია და უფრო ძნელი მიწის მეშათა შეკავშირება და საზოგადო ინტერესით ამოძრავება. ასე მაგ. ბელგიაში არსებობს სპეციალი კოოპერატიული ორგანიზაცია, „გლეხთა ლიგა“, (Ligue des paysans) ლუვენში, რომლის მიზანიც არის გლეხთა ამაღლება კოოპერაციის საშუალებით. ამისი მიზანია: საგლეხო კანონმდებლობის აღსრულების თვალ-ყურის დევნება, შრომის უკეთესად ანაზღაურების საშუალებათა გამოძებნა, ნაწარმოების გასაღება, შემნახველ—გამსესხებელ კასის დაარსება, საქონლის და მოსავლის დაზღვევა და სხ... ასევეა გოლანდიაში დანიაში.

ხოლო ირლანდიაში, სადაც მიწათმოქმედება შეადგენს უმთავრეს ხელობას, კოოპერაციის იდეამ მალე მოიდგა ფესვი. დღეს იქ 60 ასეული კოოპერატიული ფერმაა. სადაც საქონლის მოშენება არ შეიძლება და მიწის დამუშავება არის მხოლოდ, იქაც დაარსებულ ამიან საზოგადოებები, საფრანგეთის მიწის მეშათა სინდიკატების მსგავსად, სახელად „Agricultural cooperative Societies“, რომელნიც შეერთებულად ყიდულობენ იარაღს, მიწის დასამუშავებლად ჰხსნიან მიწის მეშათა ბანკებს და სხ...

ისე რომ ევროპის დაწინაურებულ ქვეყნებში, საფრანგეთიდან მოყოლებული პატარა დანიამდე, კოოპერაცია ფეხს იკიდებს. იგი ეთვისება როგორც სოფლის, ისე ქალაქის მეშის შეგნებას, და ასე მზადდება ნიადაგი საზოგადოებრივი წარმოებისათვის. ჩვენს გაღატაკებულ სოფლის მეურნეობისთვის ამ ასოციაციათა ფორმა არის ყველაზე გამოსადეგი და უებარი. ურთ-ერთ დახმარება და კოლექტიური შრომა ყველაზე უკეთესი იარაღია ძეშათა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ეს დოგმატური პენშარტები კი არ არის, არამედ პრაქტიკული სწავლაა, ევროპის დაწინაურებულ ქვეყანათა გამოცდილებაზე დამყარებული. მაგრამ აქ ერთი დიდი შენიშვნაა საჭირო. ეს მაგალითები მიტომ კი არ მოვიყვანე, რომ ანსებითად იგინი სასურველნი არიან, არამედ მიტომ, რომ მეჩვენებინა ამ გვარ კავშირთა არსებობის ღირებულება. არსებითად კი უნდა ითქვას შემდეგი: თუმც კოოპერაციის თეორეტიკოსები ამტკიცებენ კოოპერაციის სოციალისტურობას, მაგრამ ფაქტიურად იმ ტიპის კოოპერატივები, რომელნიც არსებობენ ევროპაში და ჩვენშიც, წმინდა წყლის კაპიტალისტური საზოგადოებანი არიან.

კოოპერატიული მოგება „განსაკუთრებული ბუნებისა“ კი არ არის, არამედ კაპიტალისტურ მოგებასთან იგივეობითი ნიშნით არის დაკავშირებული. ხომ წარმოების ეკონომიური ბუნება განისაზღვრება მისი მწარმოებელთან მიმართებით. ამ მხრივ კი კოოპერატიულ და ინდივიდუალურ წარმოების შორის არ არის განსხვავება. და მე რომ ვლაპარაკობ კოოპერატივებზე, რასაკვირველია სხვა ბუნების კოოპერატივი მაქვს მხედველობაში. ჩემი წარმოდგენით ეს კოოპერატივი უნია იყვეს იარაღი მეშათა მოძრაობის წინ-წასაწევად, საზოგადოებრივ ტრანსფორმაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად. და რომ ეს შესძლოს, დღევანდელი კაპიტალისტურ გზით ფასული კოოპერატივი შინაგანად უნდა გარდაიქმნას. წინა-ალმდეგ, კლასთა ბრძოლის მიმდინარეობაში იგი ვერ შეერევა. მაგრამ რა გზით უნდა მოხდეს ეს შინაგანი გარდაქმნა? იყვნენ მეამიტნი, რომელთაც ეგონათ, რომ თუ შეიცვლება კოოპერატივის შემადგენლობა, თუ იგი წმინდა მეშური იქნება, მიზანს მიაღწევსო. რასაკვირველია დიდი შეცდომაა. შემადგენლობა როდია საკმარისი ბუნების გარდასაქმნელად. თანამედროვე კოოპერატივს სოციალიზმის სული უნდა შთაებეროს. მისი ბურჟუაზიული ბუნება უნდა მოკვდეს, რადგან იგი არ ჰფიქრობს ახალ მეურნეობა წარმოების შესახებ. ეგი შემოქმედების უნარს მოკლებულია, მასში არ არის შინაგანი ერთიანობა და კავშირი. პროდუქტები და დივიდენდი—ეს ის სტიმული, რომელიც ამოძრავებს კოოპერაციას დღეს. ის იდეა კი, რომელიც მისცეს კოოპერაციას მისმა მომგონმა უტოპისტებმა, კაგა ხანია რაც დავიწყებია მიეცა. და სწორედ ის იდეა უნდა აღსდგეს. კოოპერატივი უნდა გადიქცეს იმ ორგანიზაციად, რომელიც თავისში დაიტევს სამეურნეო და სამრეწველო ცხოვრებას და საზოგადოებრივ ძალთა საშუალებით გარდაჰქმნის საზოგადოებისავე ყოფა-მდგომარეობას. და ისე, რომ ეს ინსტიტუტი უნდა წარმოადგენდეს ერთ დიდ ოჯახს, სადაც არ იქნება ფასის არც გაძღები და არც მიმდები, იქ იქნება მხოლოდ წევრთა უშუალო თანამშრომლობა და პირდაპირი შრომის ანაზღაურება. კოოპერატივი, როგორც სავაჭრო დაწესებულება უნდა მოისპოს, და შეიქმნას ერთგვარი თემის მსგავსად, რომელიც გარდაჰქმნის ათასებულ ეკონომიურ გაწყობილებას. და პაების საშუალებით კი არ იარსებებს, არამედ ცოცხალი ადამიანები დაიქერენ პაის ადგილს. მხოლოდ ამ სახით შეიძლება კოოპერატივი შეიპრეს მეშათა მოძრაობის პროცესში როგორც ლირებული დანამდვილი ფაქტორი. მანამდე კი ჩვენ კვლავ შეგვიძლიან გავიმეოროთ ოუენის სიტყვები, ოთხმოცდა სამი წლის წინად რომ სთქვა ქარლეელის კოოპერატივების დათვალიერების შემდეგ: „ეს საზოგადოებანი ქარგად მეშაობენ, ე. ი. იღებენ განსაზღვრულ სარგებელს შეერთებული ვაჭრობისგან, მაგრამ დრთა ბოლო მოეღოს იმ გვარ ცელებულ შეხედულებას, თითქოს ამ გვარი საზოგადოებანი წარმოადგენდნენ იმ სოციალურ სისტემას, რომლისკენაც მივისწრაფვით, ან და რომ ამ საზოგადოებებს ჰქონდეთ რაიმე კავშირი ახალ ზნეობრივ ქვეყანასთან“. ასეთია ჩემის აზრით ამ საკითხის თანამედროვე ვითარება.

მაშასადამე ჩემი აზრით წმინდა სოციალისტური კოოპერატივების შექმნა სოფლად თუ ქალაქად, მეტადრე ჩვენში, სადაც ძსნვილი წარმოება არ არსებობს, აუცილებელიც არის და საჭიროდ ეულოც. სხვათა შორის ამ საზოგადოებათა საშუალებითაც, მშრომელი მასა დაუახლოვდება ერთი მეორეს, ორგანიული სწრაფვა იქნება დაახლოვების და თანამშრომლობისაკენ, რაც უსათუოდ მიგვიყვანს სოფლის და ქალაქის მეშათა ეკავშირება